# გაცვლითი პროგრამები ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს უკვე მესამე სემესტრიდან აქვს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა სტუდენტებს შეუძლიათ, როგორც ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, ასევე ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში.

BTU სტუდენტებს სთავაზობს მოკლევადიან და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებს, სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებს.

**სრულად და ნაწილობრივ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ციფრული მარკეტინგის სტუდენტებისთვის:**

- კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია;
- კირილისა და მეთოდიუსის სახელობის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი;
- ლუბლიანას ბიზნესის სკოლა, სლოვენია;
- პრაღის ნიუ იორკის უნივერსიტეტი, ჩეხეთი;
- ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა;
- ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი, ბულგარეთი.

*გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის წინაპირობა: ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონა და უცხო ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე.*

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვწერეთ: ***international@btu.edu.ge***

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი